

# "მინების გასხვისების შეზღუდვას აქვს როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური კონტექსტი"



პარლამენტის აგრადურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ოთარ დანელია უცხოელებზე მინის გასხვისების საკითხზე საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას არ ეთანხმება, თუმცა აღნიშნავს, რომ კანონსა და სასამართლოს გადაწყვეტილებაზე მაღლა

არავინ დგას.

მისი თქმით, ორკვირიანი ვნებათაღებვა, რასაც საფუძველი დაუდო საკონსტიტუციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებით, არ უნდა გახდეს ქვეყნის იმიჯის დამაზიანებელი.

*„მე ვარ ამ კანონის ერთ-ერთი ინიციატორი. გასხვისების შეზღუდვას აქვს როგორც პოლიტიკური, ასევე, ეკონომიკური კონტექსტი და ამას არ ჩავუღრმავდები ბევრი მიზეზის გამო. ნიშანდობლივია, რომ ეს შეზღუდვა აბსოლუტურად გაზიარებული იქნა ჩვენი სტრატეგიული პარტნიორების მიერ და ამიტომაც არ განვაჯრცობ. მიმხვედრი უნდა მიხვდეს. რა თქმა უნდა, უპირველესია ჩვენი ეროვნული ინტერესებიც. ამიტომ გაუგებარია, რას ემსახურებოდა საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ ახლა მიმდინარე პროცესების პროვოცირება“, – აცხადებს ოთარ დანელია.*

კომიტეტის თავმჯდომარის თქმით, ის უერთდება საქართველოს იმ მოქალაქეების სურისკვეთებას, რომლებიც სიღრმისეულად იაზრებენ არსებულ პოლიტიკას გასხვისების შეზღუდვასთან დაკავშირებით.

*“რა თქმა უნდა, მე, როგორც მოქალაქეს აბსოლუტურად მაქვს იმის უფლება, რომ გამოვთქვა ჩემი უარყოფითი დამოკიდებულება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით და ვარ ერთ-ერთი მათგანი, ვინც გამოთქვამს თავის გულისწყმას. ამავდროულად, მე ვარ საქართველოს პარლამენტის წევრი და ჩემთვის უმნიშვნელოვანესია კანონის პატივისცემა და სასამართლოს გადაწყვეტილება რევიზიას არ ექვემდებარება.*

*გამოხატვის უამრავი ფორმა არსებობს. ნებისმიერმა გამოხატვამ ხელი არ უნდა შეუშალოს იმ ადამიანებს, რომლებთან ამ ეტაპზე საკონსტიტუციო ცვლილებებით სარგებლობის შესაძლებლობა აქვთ. ეს არის დემოკრატიული ნორმა, ეს არის კანონის უზენაესობის პატივისცემა”, – აღნიშნა ოთარ დანელიამ.*

დღეს ბათუმში საკონსტიტუციო სასამართლოსთან “პატრიოტთა ალიანსის” წევრებმა მხარდამჭერებთან ერთად საკონსტიტუციოს მიერ 7 დეკემბერს მიღებული გადაწყვეტილება გააპროტესტეს. საუბარია უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის მიწის რეგისტრაციის შეზღუდვაზე, რაც სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო. “აჭარის ტერევიზიის” ცნობით, აქციის მონაწილეებმა საკონსტიტუციო სასამართლოს გაუქმება მოითხოვეს, წინააღმდეგ შემთხვევაში კი პერმანენტური აქციები დააანონსეს.

შეგახსენებთ, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს პრენუმმა სასოფრო-სამეურნეო დანიშნულების მიწების უცხოეთის მოქალაქეებზე გასხვისებასთან დაკავშირებით დაწესებული მორატორიუმი 7 დეკემბერს არაკონსტიტუციურად გამოაცხადა.

ხოლო საქართველოს პრეზიდენტის ინაუგურაციის შემდეგ ახალი კონსტიტუცია ამოქმედდება, რომერშიც სასოფრო-სამეურნეო მიწის ნაკვეთებთან დაკავშირებით შესწორებები შევიდა. დოკუმენტის მიხედვით, სასოფრო-სამეურნეო დანიშნულების მიწა, როგორც

განსაკუთრებული მნიშვნელობის რესურსი, შეიძლება იყოს მხოლოდ სახელმწიფოს, თვითმმართველი ერთეულის, საქართველოს მოქალაქის ან საქართველოს მოქალაქეთა გაერთიანების საკუთრებაში. პრეზიდენტის ინაუგურაცია 16 დეკემბერსაა დაგეგმილი.

10 დეკემბერს მიწების უცხოელებზე გასხვისების მონინააღმდეგეები იუსტიციის სახლთან შეიკრიბნენ, რათა არ დაეშვათ მიწების უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე დარეგისტრირება. აქციის გამო გუშინ თბილისის იუსტიციის სახლი შეფერხებით მუშაობდა. მოგვიანებით აქციის მონაწიდეებსა და მათ მოთხოვნებს იუსტიციის მინისტრი თვანურუკიანი გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ 10 დეკემბერს არცერთი უცხოელის სახელზე სასოფლო-სამეურნეო მიწა არ დარეგისტრირებულა.

აქციასთან დაკავშირებით გამოძიება დაიწყო შსს-მაც, რომლის ფარგლებშიც აქციის რამდენიმე მონაწილე გამოკითხვაზე დაიბარეს.